საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ბესარიონ ალავიძის* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	17	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	17	20
წერის უნარი	17	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	13	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	13	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	4	5
პროფესიული აქტივობები	5	5
ქულათა ჯამი	86	100

სახელი, გვარი: ჯაფარი ქობია

თარიღი:

01.12.2021 წ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ბადრი შონია

,, 01 " დეკემბერი 2021 წელი ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატ ბესარიონ ალავიძის შეფასების დასაბუთება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატ ბესარიონ ალავიძის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, კერძოდ, „კანდიდატების საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უახლოეს სხდომამდე საბჭოს წევრები, ამ კანონის 36^3 მუხლის გათვალისწინებით, სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატს აფასებენ ქულებით ამ კანონის 35^1 მუხლის მე-16 პუნქტის შესაბამისად, ხოლო სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატს – ქულებით ამ კანონის 36^4 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები კანდიდატებს აფასებენ აგრეთვე ამ კანონის 35^1 მუხლის მე-15 პუნქტის შესაბამისად. ამასთანავე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყოველი წევრი კანდიდატის შეფასებისას წერილობით ასაბუთებს ამ კანონის 35^1 მუხლის მე-16 პუნქტით/36^4 მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ თითოეულ ქულას და ამ კანონის 36^3 მუხლით გათვალისწინებულ კეთილსინდისიერების კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელს".

უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენ კანდიდატ **ბესარიონ ალავიძის** შეფასებისას დავეყრდენი „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი წესით მასზე მოძიებულ ინფორმაციას, მის მიერ წარმოდგენილ განცხადებასა და თანდართულ დოკუმენტებს, აგრეთვე კანდიდატთან გამართულ უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებასა და ანალიზს. აღსანიშნავია, რომ კანდიდატი სამოსამართლო გამოცდილების მქონეა, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36^3 მუხლის შესაბამისად ფასდება კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმების მიხედვით.

კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლებია:

- პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;
- დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;
- პიროვნული და პროფესიული ქცევა;
- პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;
- ფინანსური ვალდებულება;

1. პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი:

კანდიდატზე მოძიებული მასალების გაცნობის შედეგად შემიძლია დავასკვნა, რომ ბესარიონ ალავიძე ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს ფინანსურ თუ სხვა სახის სამოქალაქო ვალდებულებებს, კერძოდ, **ბესარიონ ალავიძეს** სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება, აქვს მიმდინარე სესხი და დადებითი საკრედიტო ისტორია. კანდიდატს სრულად და დროულად აქვს გადახდილი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის დადგენილი ჯარიმები. კანდიდატის დახასიათების მიზნით წარმოდგენილ რეკომენდაციებსა და კითხვარებში, მასთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები, ბესარიონ ალავიძეს პატიოსან, წესიერ, გულისხმიერ, პასუხისმგებლიან პიროვნებად ახასიათებენ.

მივიჩნევ, რომ კანდიდატი ბესარიონ ალავიძე სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36[3] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს.

2. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა:

გასაუბრების პროცესიდან ჩანს, რომ კანდიდატი დამოუკიდებელია სამოსამართლო ვალდებულებების შესრულებისას, დამოუკიდებელია საზოგადოებრივი და პოლიტიკური გავლენებისგან, აგრეთვე თავისუფალია ყოველგვარი მიკერძოებისგან და დისკრიმინაციისგან. სამოსამართლო ფუნქციებს ასრულებს ჯეროვნად. კანდიდატი არ ყოფილა რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი, მხარდამჭერი ან/და შემომწირველი.
კანდიდატის დახასიათების მიზნით წარმოდგენილ რეკომენდაციებში და კითხვარებში, მასთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები, კანდიდატს პრინციპულ, დამოუკიდებელ, მიუკერძოებელ, შეუვალ, სამართლიან პიროვნებად ახასიათებენ.

მივიჩნევ, რომ კანდიდატი ბესარიონ ალავიძე სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36[3] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს.

3. პიროვნული და პროფესიული ქცევა:

გასაუბრების პროცესში კანდიდატი თავდაჭერილი, ზრდილობიანი, კორექტულია. მას

კარგად აქვს გაცნობიერებული მოსამართლის როლი და პასუხისმგებლობა. რეკომენდატორები კანდიდატს ახასიათებენ მშვიდ, გაწონასწორებულ, პასუხისმგებლიან, საქმის ერთგულ, სიახლეებისადმი დაინტერესებულ, კომპეტენტურ პიროვნებად. კანდიდატის თაობაზე მოძიებული მასალებით დგინდება, რომ **ბესარიონ ალავიძის** მიმართ დისციპლინური ან სისხლის სამართლებრივი დევნა არ დაწყებულა. კანდიდატი სასამართლოში მხარედ იყო წარმოდგენილი, კერძოდ - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის ინფორმაციით, კანდიდატი მოსარჩელედ მონაწილეობდა ადმინისტრაციულ საქმეში: დავის საგანი - ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა. კანდიდატის ინფორმაციით, იგი აგრეთვე იყო მოსარჩელე შემდეგ საქმეზე: თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმე #3/3965-20. დავის არსი - ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა; დიპლომის ნამდვილობის დადასტურება და მაგისტრის დიპლომთან გათანაბრება. სარჩელი დაკმაყოფილდა.
მას საანგარიშო პერიოდში, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის რამდენჯერმე უფიქსირდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტი, რომლებზეც დადგენილი ადმინისტრაციული ჯარიმები სრულად და დროულად აქვს დაფარული.

მივიჩნევ, რომ კანდიდატი ბესარიონ ალავიძე სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36[3] მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს.

4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია:

კანდიდატი სარგებლობს დადებითი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციით როგორც კოლეგებში ისე იურიდიულ წრეებში. რეკომენდატორებიც აღნიშნავენ, რომ კანდიდატი პატივისცემით სარგებლობს როგორც კოლეგებს შორის ისე პროფესიულ წრეებში. ის მუდმივად დაინტერესებულია სიახლეებით და ჩართულია პროფესიულ წვრთნაში. რეკომენდატორები და გამოკითხული პირები კანდიდატის ნაკლოვანებებისა და სუსტი მხარეების შესახებ არ მიუთითებენ.
ინტერნეტ სივრცეში ხელმისაწვდომია ინფორმაცია კანდიდატის მიერ განხილული რამდენიმე საქმის შესახებ, მათ შორის არის „რუსთავი 2“ -ის, პაპუაშვილი-ბლადაძის, „ღვინის ქარხნის“, "პროკრედიტ ბანკის", თავდაცვის სამინისტროს შესახებ. გავრცელდა ე.წ. ფარული ჩანაწერი სადაც, სავარაუდოდ, ალავიძის შესახებ არის საუბარი. ინტერნეტ სივრცეში იძებნება ინფორმაცია **ბესარიონ ალავიძის** დიპლომთან დაკავშირებით. ასევე მედიაში დაიწერა მოსამართლის ფეისბუქ-პოსტის თაობაზე. აღსანიშნავია, რომ ზემოთ აღნიშნული არცერთი ფაქტი არ იძლევა მოსამართლის პიროვნებაში და მის დადებით პროფესიულ რეპუტაციაში ეჭვის შეტანის საფუძველს.

მივიჩნევ, რომ კანდიდატი ბესარიონ ალავიძე სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36³ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს.

5. ფინანსური ვალდებულება:

კანდიდატზე მოძიებული ინფორმაციის გაცნობიდან ირკვევა, რომ თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში ასახულია მონაცემები კანდიდატის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შესახებ, ასევე საბანკო დაწესებულებაში არსებული ანგარიშისა და შენატანების თაობაზე.
კანდიდატს აქვს მიმდინარე სესხი და დადებითი საკრედიტო ისტორია. კანდიდატს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება.
მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მიმაჩნია, რომ არ არსებობს საფუძველი მოსამართლის ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირებისა, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მოსამართლის მიუკერძოებლობას.

მივიჩნევ, რომ კანდიდატი **ბესარიონ ალავიძე** სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36³ მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლების ანალიზის შედეგად მიმაჩნია, რომ კანდიდატი ბესარიონ ალავიძე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლებია:

- სამართლის ნორმების ცოდნა;
- სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;
- წერის უნარი;
- ზეპირი კომუნიკაციის უნარი;
- პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში;
- აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;
- პროფესიული აქტივობა.

1. სამართლის ნორმების ცოდნა:

კანდიდატის სამართლებრივი ნორმების ცოდნის შეფასებისას დავეყრდენი უშუალოდ კანდიდატთან გასაუბრების პროცესზე მიღებულ ინფორმაციას და ასევე მის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების ანალიზს.

საჯარო მოსმენისას კანდიდატის პასუხი ცალკეულ სამართლებრივ საკითხებზე არ იყო ამომწურავი და დამაჯერებელი. კანდიდატმა მეტ-ნაკლები სიზუსტით ისაუბრა სამოქალაქო სამართლის მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის ირგვლივ, ხოლო ადმინისტრაციული, საკონსტიტუციო, საერთაშორისო სამართლის მიმართულებით მისი მსჯელობა არ იყო დამაკმაყოფილებელი. ასევე კანდიდატს გაუჭირდა საუბარი სამართლის თეორიასა და სამართლის ზოგად პრინციპებზე.

კანდიდატმა სრულყოფილად ვერ გაიხსენა მოსამართლის ინდივიდუალური დამოუკიდებლობის გარანტიების გაზრდის მიზნით ბოლოდროს კონსტიტუციაში განხორციელებული ცვლილებები.

კანდიდატმა ასევე ვერ განმარტა საერთაშორისო კერძო სამართალში მჭიდრო კავშირის პრინციპი.

კანდიდატმა მეტ-ნაკლებად იმსჯელა უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობასთან დაკავშირებით უარის თქმის საფუძვლებზე.

კანდიდატმა სწორად ისაუბრა დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სახეებზე - არბიტრაჟსა და მედიაციის ირგვლივ, ასევე მათ შორის განსხვავებებზე, თუმცა არ იყო დამაჯერებელი მისი პასუხი საარბიტრაჟო წარმოებისას უზრუნველყოფის ღონისძიების სახეების გამოყენებაზე.

კანდიდატმა ვერ განმარტა ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას საქმის სასამართლოში განახლების საკანონმდებლო თავისებურებანი.

კანდიდატმა ვერ გაიხსენა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება სამოქალაქო პროცესში გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებასთან დაკავშირებით.

კანდიდატმა ვერ გაიხსენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356[11] მუხლის პირველი ნაწილი, რაც ადგენს საგამონაკლისო წესს, რა შემთხვევაშიც მიიღება დაუსწრებელი გადაწყვეტილება თუნდაც მხარეს დროულად არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებები.

კანდიდატმა ვერ განმარტა შეგებებული სარჩელის აღძვრა არის თუ არა შესაძლებელი ყველა სასარჩელო წარმოების დროს.

კანდიდატის აზრით ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირის მიმართ შესაძლებელია უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, თუმცა აღნიშნული საკითხი ვერ განავრცო.

კანდიდატმა ვერ განმარტა კონსტიტუციით მოწესრიგებული თანახელმოწერის საკითხი.

კანდიდატმა მეტ-ნაკლებად ისაუბრა დისკრიმინაციის ირგვლივ საკითხებზე, თუმცა სიღრმისეული მსჯელობა გაუჭირდა.

ასევე კანდიდატმა ვერ იმსჯელა კონსტიტუციით გათვალისწინებული მუდმივი და დაცული სამართლის ნორმების პრინციპზე.

კანდიდატს გაუჭირდა მსჯელობა თანასწორობის უფლების შესახებ კონსტიტუციაში ცვლილებამდე და ამჟამინდელ ჩანაწერს შორის. კანდიდატმა ასევე ვერ ისაუბრა პიროვნების თვითგამორკვევის უფლებაზე.

კანდიდატი არ იცნობს საკონსტიტუციო კონტროლის სახეებს, ასევე პარლამენტის წევრის იმუნიტეტისა და ინდემნიტეტის ცნებებს.

გასაუბრებიდან ჩანს, რომ კანდიდატი მეტ-ნაკლებად ეცნობა საკანონმდებლო ცვლილებებს, ეროვნულ და საერთაშორისო პრაქტიკას.
კანდიდატმა წარმოადგინა მის მიერ განხილული სამოქალაქო სამართლის საქმეებზე მიღებული ცხრა გადაწყვეტილება, კერძოდ: საქმე #ას-677-638-2011; 24.09.2012წ. დავის საგანი-გავრცელებული ინფორმაციის უარყოფა. მორალური ზიანის ანაზღაურება; საქმე #ას-1701-1685-2011; 22.10.2012წ. დავის საგანი-თანხის დაკისრება, იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია; საქმე #ას-979-940-2014; 10.09.2015წ. დავის საგანი-ზიანის ანაზღაურება; საქმე #ას-319-302-2017; 28.07.2017წ. დავის საგანი-ზიანის ანაზღაურება; საქმე #ას-85-81-2017; 27.10.2017წ. დავის საგანი-შვილთან და შვილიშვილთან ურთიერთობის წესის დადგენა (ძირითად სარჩელში), მამობის გაუქმება, დაბადების სააქტო ჩანაწერში ცვლილების შეტანა (შეგებებულ სარჩელში); საქმე #ას-1109-2018; 13.05.2019 წ. დავის საგანი-შრომითი ურთიერთობის მოშლის შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, კომპენსაციისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება, დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა; საქმე #ას-705-705-2018; 23.12.2019წ. დავის საგანი-ბავშვების საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა, მშობლის უფლების ნაწილობრივ შეზღუდვა; საქმე #ას-259-259-2018; 30.06.2020წ. დავის საგანი- სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება; საქმე #ას-877-2019; 03.07.2020წ. დავის საგანი-ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა.
კანდიდატის მიერ განხილულ საქმეზე წარმოდგენილი გადაწყვეტილების გაცნობის შემდეგ შემიძლია დავასკვნა, რომ სამართლის ნორმები სწორად არის გამოყენებული და განმარტებული.
ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი **ბესარიონ ალავიძე** „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36[4] მუხლის მე-8 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით „სამართლის ნორმების ცოდნის“ მახასიათებლით უნდა შეფასდეს 17 ქულით.

2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია.

საჯარო მოსმენის დროს კანდიდატის მსჯელობა რამდენიმე სამართლებრივი საკითხის ირგვლივ არ იყო ვრცელი, სიღრმისეული, დასაბუთებული. გასაუბრებისას კანდიდატი აზრს ავითარებდა გამართულად, თანმიმდევრულად.
კანდიდატის მიერ წარმოდგენილ სასამართლოს გადაწყვეტილებაში მსჯელობა დასაბუთებული, ლოგიკური და თანმიმდევრულია. გადაწყვეტილებების გაცნობის შედეგად დგინდება, რომ დაცულია სამართლიანი სასამართლოს ისეთი აუცილებელი ელემენტი, როგორიც არის დასაბუთებული გადაწყვეტილება.
კანდიდატს აქვს მოსამართლედ მუშაობის 12 წლიანი გამოცდილება. თავდაპირველად სამოსამართლო საქმიანობას ახორციელებდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში. 2011-2021 წლებში იგი იყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე.

ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი ბესარიონ ალავიძე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36[4] მუხლის მე-8 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის

გათვალისწინებით, „სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენციის“ მახასიათებლით უნდა შეფასდეს 17 ქულით.

3. წერის უნარი.

მოსამართლის მიერ წარმოდგენილ გადაწყვეტილებაში მსჯელობა კარგად არის განვითარებული და გადაწყვეტილება დასაბუთებულია.
შესწავლილ მასალაში მნიშვნელოვანი გრამატიკული ან რედაქციული ხასიათის შეცდომები არ გამოვლენილა.
რეკომენდატორების მითითებით, კანდიდატს აქვს წერის ინდივიდუალური სტილი, გააჩნია ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი. საკუთარ გადაწყვეტილებებში ის ზუსტად და სწორად პასუხობს საკასაციო საჩივარს.

ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი ბესარიონ ალავიძე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36[4] მუხლის მე-8 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით „წერის უნარის“ მახასიათებლით უნდა შეფასდეს 17 ქულით.

4. ზეპირი კომუნიკაციის უნარი.

კანდიდატმა გასაუბრებისას გამოავლინა ზეპირი კომუნიკაციის კარგი უნარი. კანდიდატი მეტყველებს მკაფიოდ, გამართულად და აზრს გადმოსცემს გასაგებად. კანდიდატს გააჩნია სხვისი აზრის, მათ შორის განსხვავებული აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი. რეკომენდატორებიც უთითებენ რომ კანდიდატს გააჩნია ზეპირი კომუნიკაციის კარგი უნარი, მას შეუძლია მნიშვნელოვან საკითხზე სწრაფი რეაგირება.

ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი ბესარიონ ალავიძე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36[4] მუხლის მე-8 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით „ზეპირი კომუნიკაციის უნარის“ მახასიათებელით უნდა შეფასდეს 13 ქულით.

5. პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში.

რეკომენდაციების გაცნობისა და კანდიდატის გასაუბრების პროცესზე დაკვირვებით შემიძლია დავასკვნა, რომ **ბესარიონ ალავიძეს** აქვს საქმის ჯეროვნად და პასუხისმგებლობით მომზადების უნარი. აქვს გადაწყვეტილების დაუხმარებლად მიღებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი. შეუძლია სტრესულ სიტუაციაში მუშაობა. სასამართლო სხდომების სათანადოდ წარმართავს. რეკომენდატორებიც უთითებენ, რომ მისი ქცევა სასამართლო სხდომის თავმჯდომარეობისას შეესაბამება მოსამართლის მაღალ სტატუსს.
სასამართლოდან მიღებული და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ დამუშავებული სტატისტიკური მონაცემებიდან ირკვევა, რომ საანგარიშო პერიოდში ბესარიონ ალავიძის წარმოებაში არსებულ და განხილულ საკასაციო საჩივართა რაოდენობამ შეადგინა 872. გარდა აღნიშნულისა, საანგარიშო

პერიოდში მოსამართლემ წარმოებაში მიიღო და განიხილა 174 კერძო საჩივარი; 77 შუამდგომლობა; 14 განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე; 14 საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო და 9 განცხადება გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე.
აღნიშნულ პერიოდში ბესარიონ ალავიძემ განიხილა 18 სისხლის სამართლის საქმე და 1 ადმინისტრაციული პალატის საქმე.
თუ მოხდება მოსამართლის მიერ უფლებამოსილების განხორციელების დღეების მისადაგება მის მიერ დასრულებულ ყველა კატეგორიის საქმეზე, მოსამართლეს 956 დღეში დასრულებული აქვს 1181 საქმე (დღეში საშუალოდ 1,2 საქმე), რაც ძალიან კარგი მაჩვენებელია.
აღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ **ბესარიონ ალავიძის** საქმიანობა მოცემულ პერიოდში უნდა შეფასდეს დადებითად.

ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი ბესარიონ ალავიძე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36^4 მუხლის მე-8 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით „პროფესიული თვისებები, მათ შორის ქცევა სასამართლო დარბაზში“ მახასიათებლით უნდა შეფასდეს 13 ქულით.

6. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა.

ბ.ალავიძეს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა (სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაცია; (24.01.2009წ.)
კანდიდატს ჩაბარებული აქვს პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა (22.12.2007წ.).
წარმოდგენილი ინფორმაციისა და კანდიდატთან გასაუბრების პროცესზე დაკვირვებით ჩანს, რომ ის არის შრომისმოყვარე და ღია სიახლეების მიმართ, აქვს ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი და მათი პრაქტიკაში რეალიზების შესაძლებლობა.

ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი ბესარიონ ალავიძე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36^4 მუხლის მე-8 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით „აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნის“ მახასიათებლით უნდა შეფასდეს 4 ქულით.

7. პროფესიული აქტივობა

კანდიდატს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ არაერთ ღონისძიებაში აქვს მონაწილეობა მიღებული, აღნიშნული სემინარები შეეხებოდა შემდეგ თემებს: ბავშვის უფლებათა კოდექსი; რელაციის ტექნიკის გამოყენება სამოქალაქო სამართალწარმოების პროცესში; მრავალმხრივი ტრენინგის პროგრამა ინგლისურენოვანი მოსამართლეებისათვის სამოქალაქო და კომერციულ დავებზე; ევრო კონვენციის მე-16 დამატებითი ოქმის გამოყენება; სამოქალაქო სამართლის აქტუალური საკითხები; სასამართლო გადაწყვეტილების სტრუქტურა და სხვა.

კანდიდატი არის სპეციალური სალექციო კურსის თანაავტორი მოქმედი მოსამართლეებისა და იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელებისათვის - „კომუნიკაციების სტანდარტები სასამართლო სხდომის დარბაზში.“;

ამჟამად სამართლისა და მართლმსაჯულების ტრენინგ ცენტრის ტრენერი.

2011-2015 წლებში იგი პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა იუსტიციის უმაღლეს სკოლაში; კანდიდატი არის სამართლებრივი წიგნის თანაავტორი, კერძოდ: საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარები; სამოქალაქო სამართალწარმოების აქტუალური საკითხები, პრაქტიკული სახელმძღვანელო.

ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი ბესარიონ ალავიძე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36[4] მუხლის მე-8 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, „პროფესიული აქტივობის“ მახასიათებლით უნდა შეფასდეს 5 ქულით.

*ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით კანდიდატ ***ბესარიონ ალავიძის*** კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას მისთვის მინიჭებულმა ქულათა ჯამმა შეადგინა 86 ქულა.*

ხელმოწერა: **ბადრი შონია**